

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030465344746615

04-137/ო

07 / მაისი / 2015 წ.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 17 დეკემბრის

N04-377/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ცვლილების შესაბამისად (ემატება მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება – სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ – ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი), ამ პროგრამით სარგებლობისათვის დამტკიცებული განცხადების ფორმის დაზუსტების მიზნით, „დიალიზის მომლოდინე პაციენტთა რეესტრის წარმოებისა და დიალიზის მოსარგებლეთა მოძრაობის წესის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 17 დეკემბრის N04-377/ო ბრძანებაში ცვლილების შესატანად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „დიალიზის მომლოდინე პაციენტთა რეესტრის წარმოებისა და დიალიზით მოსარგებლეთა მოძრაობის წესის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 17 დეკემბრის N04-377/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დიალიზის (ჰემოდიალიზი ან პერიტონეული) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის განცხადების ფორმა“ (დანართი N5) ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ბრძანება, გარდა პირველი პუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე, ხოლო ბრძანების პირველი პუნქტი 2015 წლის 1 მაისიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

საკონტაქტო ტელეფონი
**დიალიზის (ჰემოდიალიზი ან პერიტონეული) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის
განცხადება**

მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც ჩემს მიერ არის მონიშნული და ჩემთვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომია.

N	მიმწოდებლის		მონიშვნა ¹
	დასახელება	მისამართი	
1	სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი –ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი	ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. N206	
2	სააქციო საზოგადოება ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი	თბილისი, წინანდლის ქ. N9	
3	სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“	თბილისი, ჩაჩავას ქ. N5	
4	სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“	გორი, ჭავჭავაძის ქ. N56	
5	შპს „ა.კ. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრ. საუნივერსიტეტო კლინიკა“	თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. N29	
6	შპს „მეტაკო“	ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. N72 ^ფ	
7	შპს „მეტაკო“ (ოზურგეთის ფილიალი)	ოზურგეთი, დ. ერისთავის ქ. N21	
8	შპს „წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის კლინიკა“	ბორჯომი, ვაშლივანის ქ. N4 (სოფ. ყვიბისი)	
9	შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი“	ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N83ა	
10	შპს „ვია-ვიტა“	თბილისი, ლუბლიანას ქ. N2/6	
11	შპს „ვია-ვიტა“ (ბათუმის ფილიალი)	ბათუმი, ტბეთის ქ. N 5.	
12	შპს „ვია ვიტა“ (ზესტაფონის ფილიალი)	ზესტაფონი, უზნაძის ქ. N142	
13	ა(ა)იპ-კახეთი-იონი	გურჯაანი, ი. ნონევილის ქ. N13	
14	შპს „ჰაიმედი“	რუსთავი, მე-7 მიკრორაიონი	
15	შპს „მად ი მედი“	მარნეული, 26 მაისის ქ. N80	
16	შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“	ბათუმი, ტბელ აბუსერიდის ქ. N2	
17	შპს „უნიმედი აჭარა“	ქობულეთი, მ. აბაშიძის ქ. N18	
18	შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი“	თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20	
19	შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი“ (აგარის ფილიალი)	დაბა აგარა, ა. პუშკინის ქ. N181	
20	შპს „ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი“	თბილისი, წინანდლის ქ. N9	
21	შპს „ ბათუმის დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი“	ბათუმი, პუშკინის ქ. N118	

ჩემი ხელმოწერით აგრეთვე ვადასტურებ, რომ ვიცნობ პროგრამით სარგებლობის პირობებს:

- ✓ მონიშვნა ხორციელდება პრიორიტეტულობის მიხედვით, არაუმეტეს 3 (სამი) მიმწოდებლისა;
- ✓ მომლოდინეთა რიგში ბენეფიციარის შემდეგ მყოფი პირის მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს უფრო ადრე იმ მიმწოდებელთან რომელიც არ არის მონიშნული;
- ✓ დიალიზის ჩატარების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბენეფიციარი იხსნება ამ და რიგით შემდგომი პრიორიტეტული მომწოდებლის მომლოდინეთა რიგიდან; მაგრამ, ამავე დროს ინარჩუნებს პრიორიტეტულობით უფრო წინ მდგომ მიმწოდებელთან მომლოდინეთა რიგს.

ზემოაღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით

/ ხელმოწერა/ /თარიღი/

¹ამ გრაფაში მონიშნება განმცხადებლისათვის სასურველი მიმწოდებელი, პრიორიტეტულობის მიხედვით (1, 2, 3), არაუმეტეს სამი მიმწოდებლისა.